ჩარჩო ხელშეკრულება

<u>ტერმინთა განმარტებანი</u>
ა) ჩარჩო ხელშეკრულება - წინამდებარე ხელშეკრულება.
ბ) დამატებითი ხელშეკრულება - ყველა ტიპის საკრედიტო ხელშეკრულება ან/და ნებისმიერი დოკუმენტი რომელიც გაფორმდება ჩარჩო ხელშეკრულების საფუძველზე/ფარგლებში და რომელშიც აისახება კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის ინდივიდუალური პირობები ან/და მხარეთა დამატებითი უფლება-მოვალეობები.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულებით მისო და კლიენტი თანხმდებიან კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებაში აღწერილი საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის წესსა და პირობებზე.
1.2 ამ ხელშეკრულების საფუძველზე მისო კლიენტს მოემსახურება შემდეგი საკრედიტო პროდუქტებით: კრედიტით, საკრედიტო ხაზით და სხვა საკრედიტო პროდუქტებით.

2. ვალდებულებების ზღვრული ოდენობა

2.1 ჩარჩო ხელშეკრულების ლიმიტი არის _____ ან მისი ექვივალენტი სხვა ნებისმიერ ვალუტაში.

3. კლიენტის განცხადებები

3.1 კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ:
3.1.1 აქვს ამ და დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებაუნარიანობა;
3.1.2 არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხეს უქმნის კლიენტის ვალდებულებების შესრულებას, კლიენტის ქონებას ან/და აქტივებს;
3.1.3 უარს არ იტყვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე არ გადასცემს თავის ვალდებულებებს მესამე პირს და არ იკისრებს ახალ ვალდებულებებს მისოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ამასთან ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ მსესხებელმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს მისოს უფლებას, მიიღოს მესამე პირისგან შემოთავაზებული შესრულება და ამ მიზნებისთვის მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ მისოს მესამე პირს გადასცეს ინფორმაცია მსესხებლის მიმდინარე დავალიანების/გადასახდელების შესახებ;
3.1.4 ამ ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ;
3.1.5 მისოსთვის მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის სრული და უტყუარი;
3.1.6 მისთვის ცნობილია, რომ მისოსათვის ყალბი ან/და არასწორი (სინამდვილესთან შეუსაბამო) ინფორმაციის/ცნობ(ებ)ის მიწოდება კრედიტის მიღების ან მისი ოდენობის გაზრდის და/ან შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება წარმოადგენს საკმარის საფუძველს წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ნებისმიერი ნაწილის დასარღვევად, შესაწყვეტად, მოსაშლელად, შესაჩერებლად და/ან გასაუქმებლად და არის დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით;
3.1.7 დეტალურად იცნობს და მისთვის მისაღებია დაკრედიტების (მათ შორის საკრედიტო პროდუქტების) ყველა პირობა.

4. საკრედიტო პროდუქტის მიღების წესი

4.1 ამ ხელშეკრულების საფუძველზე მისო უფლებამოსილია, კლიენტს მოემსახუროს საკრედიტო პროდუქტებით ქვემოთ მოცემული წესებისა და პროცედურის დაცვით.
4.2 კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის მიღების სურვილს კლიენტი აფიქსირებს მისოსთვის წერილობითი განაცხადის წარდგენით.
4.3 კლიენტის განაცხადის ანალიზის მიზნით, მისო უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია კლიენტის შესახებ (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია საკრედიტო პროდუქტის მიზნობრიობის, კლიენტის საქმიანობის, კლიენტის პარტნიორებისა და სხვა დაკავშირებული პირების, ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის, უზრუნველყოფის ობიექტების შესახებ).
4.4 მისო უფლებამოსილია:
4.4.1 მიიღოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ მესამე პირებისგან კლიენტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე;
4.4.2 არ დააკმაყოფილოს კლიენტის განაცხადი საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ უარის მიზეზ(ებ)ის განმარტების გარეშე.
4.5 კლიენტის განაცხადის მისოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში მხარეები ამ ხელშეკრულების (ძირითადი ხელშეკრულების) საფუძველზე/ფარგლებში გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას (შემდგომში "დამატებით ხელშეკრულებას"), რომელიც იქნება ამ ხელშეკრულების (ძირითადი ხელშეკრულების) განუყოფელი ნაწილი, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს განცხადებას შესაბამისი საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ და

რომელშიც აისახება კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის ინდივიდუალური პირობები და მხარეთა დამატებითი უფლება-მოვალეობები.
4.6 კლიენტი და მისო აცნობიერებენ, რომ:
4.6.1 ეს ხელშეკრულება არის მხარეთა შორის გაფორმებული წინასწარი შეთანხმება საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებით;
4.6.2 ამ ხელშეკრულებას აქვს მის **1.1** პუნქტში აღწერილი ფუნქცია და ის არ იქნება განხილული, როგორც რომელიმე საკრედიტო პროდუქტით მომსახურების შეპირება მისოს მიერ;
4.6.3 დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული თითოეული ტრანში განიხილება განცალკევებულ კრედიტად (სესხად);
4.6.4 ამ და დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე მისოს წარმოეშობა მხოლოდ უფლება (და ის არ არის ვალდებული) გასცეს კრედიტი ან მოემსახუროს კლიენტს რომელიმე საკრედიტო პროდუქტით;
4.6.5 თითოეული ტრანშის (კრედიტის) გასაცემად საჭიროა შესაბამისი წინაპირობ(ებ)ის შესრულება (ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში) და მხარეთა ან/და მათ წარმომადგენელთა დამატებითი, სულ მცირე, ზეპირი შეთანხმება.
4.7 ამ ხელშეკრულების **4.6** პუნქტში ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, მისოს უფლება აქვს, არ გასცეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშ(ებ)ი ან შეწყვიტოს ტრანშ(ებ)ის გაცემა საკუთარი შეხედულებისამებრ კლიენტისთვის მიზეზის განმარტების გარეშე.
4.8 კრედიტის რამდენიმე მსესხებელზე გაცემის შემთხვევაში, კრედიტის თანხა, მისოს შერჩევით, ერთ-ერთი მსესხებლის ანგარიშზე ჩაირიცხება (ან/და მისოს სალარო(ები)დან გაიცემა). ამ წესით გაცემული კრედიტი ჩაითვლება ყველა მსესხებლის მიერ მიღებულად და ისინი წარმოადგენენ მისოს წინაშე სოლიდარულ მოვალეებს. ერთ-ერთი მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევა, მიჩნეულ იქნება ყველა მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევად და შესაბამისად, ყველა მსესხებელზე სოლიდარულად გავრცელდება ამგვარი დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობა.

5. საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის წინაპირობები და დამატებითი პირობები

5.1 მისოს უფლება აქვს:
5.1.1 ცალკეული საკრედიტო პროდუქტის გაცემამდე კლიენტს განუსაზღვროს წინაპირობა საკრედიტო პროდუქტის გაცემისთვის და მოითხოვოს ამ წინაპირობის შესრულება;
5.1.2 საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების დაწყების შემდეგ კლიენტს წაუყენოს დამატებითი პირობები საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობისთვის (დამატებითი პირობები და მათი შესრულების ვადები განისაზღვრება დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და მათი დანართებით);
5.1.3 საკრედიტო პროდუქტის გაცემის შემდეგ კლიენტს წაუყენოს დამატებითი მოთხოვნა და ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება მისოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დააკმაყოფილოს მისოს მიერ მისთვის წაყენებული მოთხოვნა.
5.2 რომელიმე წინაპირობის, დამატებითი პირობის ან/და მისოს მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მისოს უფლება ექნება განახორციელოს ქვემოთ აღწერილი რომელიმე, რამდენიმე ან ყველა ქმედება:
5.2.1 არ გასცეს საკრედიტო პროდუქტ(ებ)ი, შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს კლიენტის დაკრედიტება/მომსახურება;
5.2.3 გამოიყენოს სანქციები, რომლებიც განისაზღვრება მისოს მიერ, რაც არ გამორიცხავს მისოსთვის ამ ხელშეკრულების **მე-12** მუხლით მინიჭებული უფლებების განხორციელებას.

6. საპროცენტო სარგებლის განაკვეთი და მისი გადახდის წესი

6.1 თითოეული საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისთვის მისო კლიენტს უწესებს სარგებლის წლიურ განაკვეთს, რაც არის ამ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის საფასური.
6.2 კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს მისოს საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული ოდენობითა და პირობებით.
6.3 საპროცენტო სარგებელი ერიცხება კლიენტის ფაქტობრივ დავალიანებას მისოს მიმართ და იანგარიშება პროდუქტით ფაქტობრივად სარგებლობის დღეების შესაბამისად **365** დღეზე გაანგარიშებით.
6.4 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულების პირობებით შეიძლება დადგინდეს როგორც ფიქსირებული, ისე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.
6.5 ფიქსირებულია საპროცენტო განაკვეთი, იმ შემთხვევაში, თუ მისი ოდენობა წინასწარ არის ცნობილი.

7. ხარჯები, საკომისიოები და სანქციები (პირგასამტეხლოები)

7.1 კლიენტი ვალდებულია აანაზღაუროს ამ ხელშეკრულების და მის საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების დადებასთან, დამოწმებასთან, რეგისტრაციასთან, შესრულებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ყველა და ნებისმიერი ხარჯი.
7.2 გაწეული/გასაწევი მომსახურების სანაცვლოდ კლიენტი ვალდებულია მისოს გადაუხადოს მომსახურების საფასური (საკომისიო).
7.3 საკომისიოს ოდენობა, გადახდის წესი და სხვა პირობები განისაზღვრება მისოს მიერ (კლიენტთან დადებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით).
7.4 ამ ხელშეკრულებით ან/და დამატებითი ხელშეკრულებით ნასკირი ვალდებულების ჯეროვნად, დროულად ან/და სრულფასოვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს მისოს პირგასამტეხლოები, რომლებიც განისაზღვრება მისოს მიერ (კლიენტთან დადებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით). პირგასამტეხლოს დაკისრება მისოს უფლებაა და არა ცალსახა ვალდებულება.
7.5 ამ ხელშეკრულებით ნასკირი რომელიმე ვალდებულების დროულად შეუსრულებლობისა და მისოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს მისოს პირგასამტეხლო კლიენტის მიერ

ვალდებულების დარღვევის მომენტისთვის მიღებული საკრედიტო პროდუქტების საერთო მოცულობის 0.1%-ის ოდენობით ვალდებულების შესრულების ვადისთვის გადაცილებული ყოველი დღისთვის.
7.6 ამ ხელშეკრულებით ნასკირი რომელიმე ვალდებულების ისეთი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც არ არის დაკავშირებული ვალდებულების დროულად შესრულებასთან კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს მისოს პირგასამტეხლო კლიენტის მიერ ვალდებულების დარღვევის მომენტისთვის მიღებული საკრედიტო პროდუქტების საერთო მოცულობის 1%-ის ოდენობით დარღვევის ყოველი ფაქტისთვის (თუ მისო მოითხოვს პირგასამტეხლოს გადახდას).
7.7 მისოს უფლება აქვს დამატებით დააწესოს ნებისმიერი სახის საკომისიოები ან/და პირგასამტეხლოები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით.
7.8 ამ ხელშეკრულების **7.7** პუნქტით მისოსთვის მინიჭებული უფლების განხორციელების შესახებ კლიენტს ეცნობება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
7.9 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს კლიენტს ძირითადი ვალდებულ(ებ)ების შესრულებისა ან/და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

8. თანხის გადახდა

8.1 კლიენტის მიერ მისოს მიმართ ვალდებულებ(ებ)ის შესრულება (დავალიანების დაფარვა), როგორც წესი, ხორციელდება მისოს ფილიალების სალაროებში ან მისოს კუთვნილ საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის გზით.
8.2 კლიენტის მიერ კრედიტის დასაფარავად მისოსთვის გადაცემული თანხით პირველ რიგში დაიფარება სადაზღვევო პრემია, შემდეგ საკომისიოებთან დაკავშირებული დავალიანება, შემდეგ პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა. კლიენტი მისოს უფლებას ანიჭებს:
8.2.1 ცალმხრივად შეცვალოს ამ ხელშეკრულების **8.4** პუნქტში მოცემული წესი;
8.2.2 თავად განსაზღვროს კლიენტის ვალდებულების შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა), ანუ ცალმხრივად გადაწყვიტოს, თუ რა ოდენობით (მოცულობით) და რომელ საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული დავალიანება დაიფაროს კლიენტის მიერ მისთვის გადაცემული თანხ(ებ)ით, რაც ნიშნავს იმას, რომ კლიენტი მისოს ანიჭებს კლიენტის სახელით კლიენტის ვალდებულებათა შესრულების რიგითობის (პრიორიტეტულობის) განსაზღვრის უფლებამოსილებას.
8.3 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტთან გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული რომელიმე გადახდის თარიღი დაემთხვა მისოს არასამუშაო დღეს, ამგვარი გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს. ასეთ შემთხვევაში კლიენტის დავალიანებას დამატებით არ დაერიცხება პირგასამტეხლო ან/და საკომისიო ვადაგადაცილებისთვის.

9. უზრუნველყოფა

9.1 ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებები უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილ ყველა ვალდებულებას.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის ობიექტი დაზიანდება, განადგურდება, დაკარგავს მატერიალურ ფასეულობას ან შემცირდება მისი საბაზრო ღირებულება, მისოს უფლება ექნება, კლიენტს მოსთხოვოს უზრუნველყოფის ობიექტის ალტერნატიული, ადეკვატური ღირებულების ობიექტით ჩანაცვლება, ან საკრედიტო პროდუქტის შესაბამისი ნაწილის დაფარვა. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება, დაუყოვნებლივ შეასრულოს (დააკმაყოფილოს) მისოს მოთხოვნა.
9.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების ან/და მის საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ან/და დაგირავებული ქონების (უზრუნველყოფის ობიექტების) რეალიზაციის (მათ შორის კრედიტორის მიერ ნივთის საკუთრებაში მიღების) შედეგად მიღებული თანხა სრულად არ დაფარავს უზრუნველყოფილ მოთხოვნას, მოთხოვნა არ ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად და მისო უფლებამოსილია ნარჩენი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს მსესხებლის ნებისმიერი შემოსავლის და ქონების რეალიზაციის ხარჯზე.
9.4 ამ ხელშეკრულების **9.3** პუნქტით დადგენილი წესი გამოიყენება ასევე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში იპოთეკისა და გირავნობის საგნ(ებ)ის რეალიზაციის შემთხვევაში, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ აუქციონზე გასაყიდი დატვირთული ნივთის სყიდვის ფასი იქნება მისოს მოთხოვნაზე ნაკლები, დატვირთული ნივთის რეალიზაციით მიღებული თანხით მისოს მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ მისოს მოთხოვნა მაინც ჩაითვლება უზრუნველყოფილად, ხოლო მისო უზრუნველყოფილ კრედიტორად.
9.5 მისოს მოთხოვნ(ებ) ის დაკმაყოფილების/კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიზნით, თუ კანონმდებლობით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, მისოს უფლება აქვს მოითხოვოს აღსრულების მიქცევა კლიენტის ნებისმიერ ქონებაზე (კლიენტის კუთვნილ ნებისმიერ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, მათ შორის ქონებაზე, რომელსაც მოვალე შეიძენს ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ) მიუხედავად იმისა უზრუნველყოფილია, თუ არა კლიენტის ვალდებულება (მისოს მოთხოვნა) სანივთო უფლებით (იპოთეკით, გირავნობით). ამასთან, მისო უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, გადახდა/აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს კლიენტის იმ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, რომელიც არ წარმოადგენს კლიენტის ვალდებულებების უზრუნველყოფის საგანს.
9.6 იმ შემთხვევაში, თუ მისო უარს იტყვის იპოთეკაზე (მოთხოვნაზე უარის თქმის გარეშე) კლიენტი არ განთავისუფლდება იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებებისგან მიუხედავად იმისა, შეეძლო თუ არა მას თავის მხრივ იპოთეკიდან ანაზღაურების მიღება.

10. დაზღვევა

10.1 მისოს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კლიენტს მისოს მიერ განსაზღვრული პირობების შემცველი სადაზღვევო პოლისის მისოსთვის წარდგენა.
10.2 მისოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება:
10.2.1 დაზღვევა განახორციელოს მისოსათვის მისაღები სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით, ამ კომპანიის მიერ განსაზღვრული ტარიფების/პირობების შესაბამისად;
10.2.2 დაზღვევა განახორციელოს მისოს მიერ მოთხოვნილი პირობების დაცვით;
10.2.3 მზღვეველს მოსთხოვოს სადაზღვევო პოლისში ბენეფიციარად მისოს დასახელება;
10.2.4 თუ სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადა ნაკლებია ამ ხელშეკრულების/დამატებითი ხელშეკრულ(ებ)ების - მოქმედების ვადაზე, პოლისის მოქმედების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს **14 (თოთხმეტი)** კალენდარული დღის განმავლობაში წარუდგინოს მისოს განახლებული სადაზღვევო პოლისი.
10.2.5 გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ან/და მასთან დაკავშირებული სხვა საკომისიო, მისოსათვის მისაღები სადაზღვევო კომპანიის მიერ დადგენილი ოდენობით. ამასთან, სადაზღვევო პრემიის ან/და მასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოს გადახდა წარმოადგენს მისოს (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტთან დაკავშირებულ აუცილებელ გადასახდელს და ამ გადასახდელის გადახდის (ან გადახდის ვალდებულების აღების) გარეშე შესაძლოა არ მოხდეს მისოს (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის გაცემა. სადაზღვევო პრემიის და/ან მასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოს/გადასახდელის ოდენობა განსაზღვრული იქნება შესაბამისი ხელშეკრულებით ან/და სადაზღვევო პოლისით.
10.3 კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, დაზღვევის უწყვეტობის/განგრძობადობის უზრუნველყოფის და/ან დაზღვევასთან დაკავშირებით კლიენტის ვალდებულების სრულად ან ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში მსესხებელი:
10.3.1 წინასწარ აცხადებს თანხმობას მისოს მოთხოვნით განახორციელოს მზღვეველის ცვლილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, შეწყვიტოს ან განაახლოს მზღვეველთან არსებული სადაზღვევო ურთიერთობა/ხელშეკრულება;
10.3.2 მისოს ანიჭებს უფლებამოსილებას დაამუშაოს (მათ შორის გასცეს შესაბამისი პერიოდულობით სადაზღვევო კომპანიაზე) კლიენტის პრსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობის მიზნით.
10.4 კლიენტი თანახმაა და მისოს უფლებას აძლევს, კლიენტის მიერ მისოსთვის გადაცემული თანხიდან განახორციელოს ანგარიშსწორება სადაზღვევო კომპანიასთან.
10.5 იმ შემთხვევაში თუ კლიენტი/ბარათის მფლობელი არ გადაიხდის სადაზღვევო პრემიას ამ ხელშეკრულებით /დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრული წესითა და ვადებში, დავალიანება ჩაითვლება ვადაგადაცილებულად.
10.6 კლიენტი მისოს ანიჭებს უფლებამოსილებას, კლიენტის (დაზღვეულის) მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ვადაგადაცილების შემთხვევაში, მისომ (მოსარგებლემ) საკუთარი შეხედულებისამებრ, თავად განახორციელოს სადაზღვევო პრემიის გადახდა მზღვეველისათვის, მაგრამ არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) დღისა.
10.7 წინამდებარე ხელშეკრულების **10.6** პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად, მისოს მიერ მზღვეველისთვის (კლიენტის ნაცვლად) სადაზღვევო პრემიის გადახდის შემთხვევაში, მისო უფლებამოსილია კლიენტს (დაზღვეულს) მოსთხოვოს მისოს მიერ სადაზღვევო პრემიის სახით მზღვეველისთვის გადახდილი თანხის მისოს სასარგებლოდ სრულად გადახდა.
10.8 დაზღვევა ითვლება შეწყვეტილად / შეჩერებულად (მისოს შეხედულებისამებრ) კლიენტის (დაზღვეულის) მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის 90 (ოთხმოცდაათი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში. მიუხედავად ხსენებულისა, მისო (მოსარგებლე) უფლებამოსილია განაახლოს დაზღვევა (ცალმხრივად აღადგინოს დაზღვევის წინამდებარე პრობები), იმ შემთხვევაში, თუ სრულად განხორციელდება მისოს მიმართ კლიენტის დავალიანების დაფარვა. თუმცა, ანაზღაურებას დაექვემდებარება ვადაგადაცილების (დავალიანების) არსებობის პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები.

11. ინფორმაცია კლიენტის შესახებ და მონიტორინგი

11.1 კლიენტი აცხადებს, რომ მის მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში მისოსთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მისოს მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის, სტატუსის ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.
11.2 კლიენტი გამოხატავს თანხმობას და უფლებას აძლევს სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ფინაგროს" ("მისო"), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს წინამდებარე დოკუმენტში და მისოში დაცული კლიენტის ინფორმაცია, ასევე, კლიენტის შესახებ საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ებ)ში (შემდგომში "ბიურო") დაცული ინფორმაცია გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის. კლიენტი აცნობიერებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს, რომ კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს,წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. ამასთან, კლიენტი ადასტურებს, რომ მისო შეაგროვებს/დაამუშავებს კლიენტის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება ბიუროში ჩართული სესხის გამცემი ორგანიზაციების და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირებისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 კლიენტი მისოს ანიჭებს უპირობო უფლებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე შეუზღუდავად (ნებისმიერი მოცულობითა და რაოდენობით):
11.3.1 კანონმდებლობით დადგენილი წესით, კლიენტისათვის მომსახურების და ეფექტური და შუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან საჭირო მოცულობით, მიიღოს მისოსთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები;
11.3.2 სასამართლოს, არბიტრაჟს ან/და მესამე პირს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) გადასცეს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის შესრულებული ოპერაციების, ანგარიშებზე არსებული ნაშთების, კლიენტის ვალდებულებების შესახებ მონაცემები) და კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება;
11.3.3 ნებისმიერი საშუალებით გაავრცელოს ინფორმაცია კლიენტის მიერ მისოსთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შესახებ;
11.3.4 კლიენტის თავდებ(ებ)ს ან/და ნებისმიერ პირს, რომლის ქონებითაც უზრუნველყოფილია კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესრულება, მიაწოდოს ინფორმაცია მისოს მიმართ კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესახებ და/ან ამ პუნქტში ჩამოთვლილთაგან ნებისმიერ პირს, მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს მისოსა და კლიენტს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულ(ებ)ების ასლები (მათ შორის, საკრედიტო ხელშეკრულება);
11.3.5 კლიენტის მიერ მისოს წინაშე ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრობლემური აქტივ(ებ)ის მართვის მიზნით, მისოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პრობლემური აქტივების მართვის კომპანიებს ან ფიზიკური ან იურიდიულ პირებს, გადასცეს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან მისოს მიერ მიწოდებული ინფრმაციის კონფიდენციალობა;
11.3.6 მისოს აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩევლებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, საჭიროების შესაბამისად, გადასცეს კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან მისოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;
11.3.7 კლიენტისათვის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზებისა და გაწევისათვის (მათ შორის სხვადასხვა პროდუქტ(ებ)ის შეთავაზებისათვის) აუცილელებელი ინფორმაცია (მათ შორის კლიენტის პერსონალური მონაცემები), გადასცეს მისოს შვილობილ კომპანიებს ან სხვა მონათესავე საწარმო(ებ)ს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან მისოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.
11.3.8 მოითხოვოს და მიიღოს კლიენტის შესახებ ნებისმიერ პირთან თუ ადმინისტრაციულ ორგანოში (მათ შორის საგადასახადო ორგანო(ებ)ში) არსებული ნებისმიერი სახის პერსონალური ან/და სხვა ინფორმაცია (მონაცემები, ჩანაწერები ან/და საბუთები);
11.3.9 კლიენტი მისოს ათავისუფლებს ამ ხელშეკრულების **6.3** პუნქტის საფუძველზე მიღებული/გაცემული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისგან და აცხადებს უარს ზემოხსენებულ პუნქტში აღწერილი ინფორმაციის მისოს მიერ გამჟღავნებით ან მესამე პირისთვის გადაცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.
11.4 <u>კლიენტი ვალდებულია</u>
11.4.1 მისოს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მას მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტ(ებ)ი;
11.4.2 შექმნას საკრედიტო პროდუქტების მიზნობრივად გამოყენების კონტროლისა და ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების პირობები, კლიენტის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი ოპერაციების ამსახველი საბუთების რეგულარული გაცნობის და მის შენობა-ნაგებობებში თავისუფალი შესვლის, მისი სათავსოებისა და მოწყობილობების დათვალიერების და შემოწმების საშუალება (შემოწმების პერიოდულობა და რაოდენობა განისაზღვრება მისოს მიერ კლიენტისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე).
11.4.3 დაუყოვნებლივ შეასრულოს მისთვის ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარდგენილი ნებისმიერი მოთხოვნა;
11.4.4 დაუყოვნებლივ აცნობოს მისოს ამ უკანასკნელისთვის კლიენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში, კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის დამფუძნებლებში, მენეჯმენტში ან აღმასრულებელ/სამეთვალყურეო ორგანოში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების შესახებ და წარუდგინოს ბანკს შესაბამისი ცვლილების ამსახველი საბუთ(ებ)ი.
11.5 <u>მისო უფლებამოსილია</u>
11.5.1 გადაამოწმოს კლიენტის ფინანსური უწყისები და მატერიალური აქტივები ადგილზე ვიზიტით (კლიენტი ვალდებულია დაუშვას მისოს უფლებამოსილი წარმომადგენელი (დასაქმებული) მის ტერიტორიაზე და წარუდგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია);
11.5.2 საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს მოითხოვოს იპოთეკისა ან/და გირავნობის საგნ(ებ)ის ისევე, როგორც კლიენტის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული ნებისმიერი აქტივის დათვალიერება.

12. საკრედიტო ურთიერთობის ან/და ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის პირობები

12.1 მისოს უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში თუ დადგება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი გარემოება:
12.1.1 კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული ნებისმიერი

დამატებითი ხელშეკრულებით ან მისოსთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტით ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას;
12.1.2 კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებისთვის თანდართული გრაფიკის მიხედვით თანხის გადახდის ვალდებულებას;
12.1.3 არ შესრულდება (დაირღვევა) რომელიმე წინაპირობა, დამატებითი პირობა ან/და მისოს მიერ კლიენტისთვის წაყენებული მოთხოვნა;
12.1.4 კლიენტი იკისრებს ნებისმიერ ვალდებულებას მისოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
12.1.5 კლიენტი არამიზნობრივად გამოიყენებს რომელიმე დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ საკრედიტო პროდუქტს (დაარღვევს მიზნობრიობას);
12.1.6 მნიშვნელოვნად შემცირდება კლიენტის კაპიტალი;
12.1.7 განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილება კლიენტის საკუთრებაში მისოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
12.1.8 მოხდება ნებისმიერი ცვლილება კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის დამფუძნებლებში, მენეჯმენტში ან აღმასრულებელ/სამეთვალყურეო ორგანოში მისოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
12.1.9 კლიენტის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი **(ოცი პროცენტი ან მეტი)** გასხვისდება მისოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
12.1.10 გაუარესდება კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის ქონებრივი ან/და ფინანსური მდგომარეობა ან შეიქმნება ასეთი გარემოების დადგომის საფრთხე;
12.1.11 ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების მხარე ან მისი უფლებამონაცვლე დაარღვევს შესაბამისი ხელშეკრულების რომელიმე პირობას;
12.1.12 განადგურდება, დაზიანდება ან/და ღირებულება შეუმცირდება ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის ობიექტ(ებ)ს, რისთვისაც მისოს არ ეკისრება პასუხისმგებლობა;
12.1.13 კლიენტის მიმართ დაიწყება სააღსრულებო წარმოება;
12.1.14 კლიენტის რომელიმე საბანკო ანგარიშს ან კლიენტის კუთვნილ ქონებას (ნებისმიერ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს) დაედება ყადაღა ან კლიენტის ან მისი ქონების მიმართ გამოყენებული იქნება სარჩელის, გადაწყვეტილების აღსრულების ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ნებისმიერი ღონისძიება;
12.1.15 რაიმე უფლებით, ვალდებულებით ან/და შეზღუდვით (მათ შორის საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებით, ყადაღით და სხვა) დაიტვირთება ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ან/და კლიენტის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე;
12.1.16 კლიენტის, მისი თავდების, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის მიმართ დადგება ლიკვიდაციის ან გადახდისუუნაროდ გამოცხადების საფრთხე ან თუ ზემოთ ჩამოთვლილ პირთაგან რომელიმე თავად მიიღებს გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის შესახებ;
12.1.17 ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო ჩამოართმევს კლიენტს ნებისმიერ აქტივს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, ან მოახდენს ასეთი აქტივის ნაციონალიზაციას ან მოხდება სხვაგვარი ექსპროპრიაცია;
12.1.18 კლიენტის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ან/და მისოსათვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია აღმოჩნდება მნიშვნელოვნად არასწორი ან მცდარი (სინამდვილესთან შეუსაბამო);
12.1.19 კლიენტი ჩაიდენს მისოს მოტყუებისკენ მიმართულ ნებისმიერ ქმედებას;
12.1.20 დადგება ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომლის არსებობამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კლიენტის, მისი თავდების ან/და ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება ან კლიენტის მიერ თანხის დროულად გადახდა.
12.2 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მისოს ამ ხელშეკრულების **12.1.1-12.1.20** ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომის შესახებ.
12.3 ამ ხელშეკრულების **12.1** პუნქტში აღწერილ შემთხვევებში (მიუხედავად კლიენტის ბრალისა ამ ხელშეკრულების **12.1** პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომაში) კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ (ან მისოს მიერ მითითებულ ვადაში) დაუბრუნოს მისოს კრედიტის ძირითადი თანხა მისთვის დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეასრულოს მისოს წინაშე ნაკისრი ყველა ფინანსური ვალდებულება.
12.4 ამ ხელშეკრულების **12.1** პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი გარემოების დადგომის შემთხვევაში მისოს უფლება ექნება კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტოდ) გადაიყვანოს კლიენტი გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში, რაც გულისხმობს მისოს სრულ უფლებამოსილებას, მიავლინოს მისი წარმომადგენელი კლიენტთან (კლიენტის კუთვნილ ნებისმიერ სათავსოში) და რეალური შემოსავლების მონიტორინგის საფუძველზე უშუალოდ კლიენტისგან (მათ შორის მისი სალაროდან) მიიღოს მისოსთვის გადასახდელი თანხა ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ.
12.5 ამ ხელშეკრულების **12.4** პუნქტში აღწერილ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისოს წარმომადგენლის დაშვება იპოთეკისა და გირავნობის ნებისმიერი საგნის ან/და კლიენტის კუთვნილი ნებისმერი აქტივის (ქონების) შესამოწმებლად ან/და კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად, რაც არ გამორიცხავს მისოსთვის ამ ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებული სხვა ნებისმიერი უფლების გამოყენების შესაძლებლობას.
12.6 ამ ხელშეკრულების **12.1.18** და **12.1.19** ქვეპუნქტებში აღწერილი რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში მისოს უფლება ექნება განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა ქმედება:

12.6.1 ცალმხრივად შეცვალოს (დააკორექტიროს) კლიენტის მიერ მიღებული საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის პირობები;
12.6.2 კლიენტს წაუყენოს დამატებითი მოთხოვნები (ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება მისოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დააკმაყოფილოს მისოს მიერ მისთვის წაყენებული მოთხოვნები);
12.6.3 შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

13. სხვა პირობები

13.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს კლიენტის მიერ ყველა დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე. ამასთან, ერთსა და იმავე კალენდარულ თარიღში, დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტა და ახალი დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის დადება არ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტას.
13.2 კლიენტს არ აქვს ამ ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება ამ ხელშეკრულებით და მის საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული ყველა დოკუმენტით ნაკისრი უკლებლივ ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე.
13.3 მისოს უფლება აქვს ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ამ ხელშეკრულების ან/და მის საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების ტექსტში, ცვლილების (დამატებების) განხორციელებამდე **10 (ათი)** კალენდარული დღით ადრე მისოს ინტერნეტ-გვერდზე **(www.finagro.ge)** შესაბამისი ინფორმაციის განთავსების ან კლიენტისთვის შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. ამ პუნქტში აღწერილ შემთხვევაში კლიენტს უფლება ექნება მისოს ინტერნეტ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებიდან ან მისოს შეტყობინების მიღებიდან **10 (ათი)** კალენდარული დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეასრულოს მისოს მიმართ არსებული ვალდებულებები (მათ შორის სრულად დააბრუნოს მისოსგან მიღებული კრედიტ(ებ)ი მათთვის დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) და შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ისარგებლებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის უფლებით, მისოს მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად
13.3.1 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ წინამდებარე ან და მის საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების პირობების ცვლილებას, მისო განახორციელებს კლიენტის სასარგებლოდ, მისო არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს კლიენტს ცვლილების შესახებ.
13.4 ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. მისოს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო, მოკლე ტექსტური შეტყობინება და სხვა), აღნიშნული საშუალებებით განხორციელებული შეტყობინება უთანაბრდება შეტყობინების წერილობითი ფორმას.
13.4.1 მხარეები თანხმდებიან, რომ კლიენტის მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და ტელეფონის ნომერზე, რომელიც მითითებულია (1) წინამდებარე ხელშეკრულებაში და/ან (2) კლიენტის მიერ მისოსათვის მიწოდებულ/წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტში და/ან (3) ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი შეტყობინება, ითვლება კლიენტისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად;
13.4.2 თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და ტელეფონის ნომერზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების **13.4.1** ქვეპუნქტში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით), მისთვის ჩაბარებულად ითვლება;
13.4.3 შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას;
13.4.4 შეტყობინება ასევე მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით გაგზავნისა და ჩაბარების შემთხვევაშიც.
13.5 კლიენტი აცხადებს თანხმობას რომ:
13.5.1 კომუნიკაცია კლიენტსა და სასამართლოს ან/და კლიენტსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას ან/და კლიენტსა და არბიტრებს ან/და კლიენტსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს ან/და კლიენტსა და კერძო აღმასრულებლებს შორის წარმოებს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით (ელექტრონული ფორმით);
13.5.2 სასამართლომ ან/და საარბიტრაჟო დაწესებულებამ ან/და არბიტრმა ან/და აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ან/და კერძო აღმასრულებელმა მისი დაბარება, მისთვის უწყების ან/და წერილის ან/და შეტყობინების ჩაბარება, მისთვის სასამართლოს ან/და საარბიტრაჟო ან/და სააღსრულებო საქმისწარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების) / საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება განახორციელოს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულების ან/და მის საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის რეკვიზიტების ნაწილში ან/და კლიენტის მიერ მისოსათვის მიწოდებულ/წარდგენილ ან/და მისოს მიერ მოპოვებულ ნებისმიერ დოკუმენტში განსაზღვრულ, კლიენტის მისამართზე (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართზე);

13.5.3 თუ კლიენტს გზავნილი/შეტყობინება გაეგზავნება ელექტრონული ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების ან/და მის საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის რეკვიზიტების ნაწილში ან/და კლიენტის მიერ მისოსათვის მიწოდებულ/წარდგენილ ან/და მისოს მიერ მოპოვებულ ნებისმიერ დოკუმენტში განსაზღვრულ, კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე, შეტყობინება კლიენტის მიერ მიღებულად (ჩაბარებულად) ჩაითვლება, თუ შეტყობინების მიღება (ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით.

13.6 მისო არ აგებს პასუხს შეტყობინებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულების/მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის, თუ კლიენტთან დაკავშირება/მისთვის ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება კლიენტის ბრალეულობით და/ან კლიენტმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია.

13.7 იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.8 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით;

13.9 მხარეები თანხმებიან, რომ მისოს ინტერნეტ-გვერდზე (www.finagro.ge) განთავსებულ და მისოს მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის მისოს მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია მისოს დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

13.10 ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.

13.11 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

13.12 მისოს უფლება აქვს, კლიენტის თანხმობის გარეშე, ამ ხელშეკრულებით, დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით და მათ უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თავისი უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ დელეგირება მოახდინოს სხვა პირზე.

13.13 კლიენტს არ აქვს ამ ხელშეკრულებით ან/და ამ ხელშეკრულების საფუძველზე/ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების ან/და ვალდებულების მესამე პირისთვის გადაცემის უფლება მისოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.14 ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს კლიენტს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მისი ვალდებულებების სრულიად და ჯეროვნად შესრულებისგან.

13.15 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით, ან მისოს მიერ საჯარო შეტყობინებით.

13.16 მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე დავასთან დაკავშირებული მისოს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

13.17 კლიენტის მომსახურების პირობები უფრო დეტალურად არის აღწერილი მისოს მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში (მათ შორის ბუკლეტები, ბროშურები, მისოს ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა). საინფორმაციო მასალაში მოცემულ ინფორმაციასა და ამ ხელშეკრულების შინაარსს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება ამ ხელშეკრულების დებულებები.

13.18 მისო იღებს ვალდებულებას მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია კლიენტთა საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმების და ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.

13.19 მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ მათი საქმიანობით არ აყენებენ ნეგატიურ გავლენას ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოს.

13.20 მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია მისოს, მისი ფილიალებისა და სერვისცენტრების მისამართები.

13.21 წინამდებარე ხელშეკრულების სხვადასხვა ენაზე შედგენილ ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას.

13.22 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) რჩება მისოს, 1 (ერთი) გადაეცემა კლიენტს.

* იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს მისო „ფინაგრო“-ში ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ფინაგრო" არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით

მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა

ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.